**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

# „ახალშენი“

„ახალშენი“, ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული საგლეხო გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1908. რედაქტორ-გამომცემელი - პ. გაჩეჩილაძე. გამოცემა პოპულარობით სარგებლობდა მკითხველთა შორის. გამოხატავდა სოფლის მოსახლეობის ინტერესებს, ასახავდა მათი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. მისი დახურვის შემდეგ გამოდიოდა გაზეთები „ეკალი“ (1908), მისი მომდევნო „იმედი“ (1908) და „ალი“ (1908).

***დ. შანშიაშვილი***

---